



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლეგპორნი

ლეგპორნი, ქათმის ჭიში მეკვერცხული მიმართულებისა, გამოყვანილია XIX ს-ში აშშ-ში იტალ. თეთრი ქათმის შეჯვარებით მინორულასთან, ესპანურასთან, ძიძგილასა და სხვა ჭიშის ქათმებთან. ლ. თეთრი, წაბლისფერი, შავი ან ცისფერია. სხეულის აგებულებისა და ბიბილოს ფორმის მიხედვით არსებობს რამდენიმე სახესხვაობა. მამლის მასაა 2,3-2,7 კგ, დედლისა - 1,8-2,0 კგ, მეკვერცხულობა - 220-270 კვერცხი წელიწადში, საუკეთესო კვერცხმდებელი კი 300-ზე მეტ კვერცხს იძლევა. კვერცხის მასა - 55-60 გ. საქართველოში ლ. 1925-27 შემოიყვანეს. აშენებდნენ მეკვერცხეობის ფ-კებში - სამგორის სამომშენებლოში, მეფრინველეობის ამიერკავკ. ზონალურ საცდელ სადგურში, საქართვ. ზორბექ.-სავეტერინარო სასწ.-კვლ. ინ-ტის კრწანისის სასწ.-ექსპერ. მეურნეობაში.

საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან შემოყვანილია ლ-ის მეკვერცხული ჭიშის კროსები, რ-ებიც მიღებულია ჭიშის შიგნით ხაზთაშორის შეჯვარებით. აღნიშნული კროსები მოშენებულია პატარძეულის, კოდის, საგარეჭოს, ალგეთის, სავანეთისა და სხვ. მეფრინველეობის საწარმოებში. მიღებული პროდუქცია ნაწილდება საქართვ. სავაჭრო ქსელში.

ლიტ.: ნ ო ზ ა ძ ე რ., კვერცხის წარმოების ტექნოლოგია ფერმერულ და საკარმიდამო მეფრინველეობაში, თბ., 2002; ნ ო ზ ა ძ ე რ., ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი მ., ზ ა ვ ა რ ა შ ვ ი ლ ი ვ., მეფრინველეობის პროდუქტების წარმოებისა და გადამუშავების ტექნოლოგია, თბ., 2007.

რ. ნოზაძე